

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1972 წ.  
№ 204 14 ოქტომბერი,  
(4714) შაბათი,  
ფასი 3 კპ.

გაზეთი გამოდის  
1984 წლის  
18 აპრილიდან




200  
ნიშნოსანი

## დარჩა ფინალური ბრძოლები



გუბარსი, 12 ოქტომბერი. კალათბურთულ ქალთა ევროპული ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირების ბოლოს წინა ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის გუნდი — 73:39 (28:21). უნგრელებმა მხოლოდ პირველ ტაიმი გაუწიეს მეტოქეობა ევროპის ჩემპიონს. შესვენების შემდეგ ლიდერის უპირატესობა აშკარა იყო. გამარჯვებულ კოლექტივში თავი გამოიჩინეს: კურგიაკოვა, ფერიაბინიკოვა (თითოეულმა გუნდს 14-14 ქულა შესძინა) და სემიონოვა (12 ქულა).  
ამ ჯგუფის დანარჩენი მატჩები უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. იუგოსლავიელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში გასტუმრეს რუმინელთა საბრძოლო სული — 61:52 (პირველი ტაიმი მხოლოდ 2 ქულის უპირატესობით მოიგეს — 32:30). მხოლოდ

შესვენების შემდეგ გადაწყდა პოლონეთ — იტალიის კალათბურთულთა შეხვედრის ბედიც — 43:36 (19:15). ვარნის ჯგუფის მატჩები ბოლოს წინა ტურში ასე დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია — ავსტრია 79:56 (40:15), ბულგარეთი — პოლანდია 53:38 (22:23). საფრანგეთი — გერ 58:47 (33:25).  
დღეს საბჭოთა კალათბურთელებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი მოუგეს იუგოსლავიელებს — 84:53 და I ადგილი გაინადგეს. ბურგასის ჯგუფიდან ფინალურ ტურნირში ბრძოლას განაგრძობენ სსრ კავშირის, უნგრეთისა და რუმინეთის კოლექტივები (ვინაიდან წინასწარი შესვენებების შედეგები ფინალში ძალიან რჩება, სსრ კავშირის ნაკრები ბრძოლას ოქროს 2 ქულით განაგრძობს).  
ვარნის ჯგუფში პირველ სამ ადგილზე გაიყვანეს: ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის კალათბურთელები.



იფანეთის დელაქალაქის სპორტულ ბაზებზე ორ თვეს მიმდინარეობდა სოხუმის „განთიადის“ ფიზკულტურული კოლექტივების სპორტკლასი — „მხნეობა და ჯანმრთელობა“. პროგრამაში შედიოდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ტყვიის სროლაში, მაგილის ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკსა და ცურვაში. სპორტკლასიდან მონაწილეობდა 450 მუშა-მოსამსახურე. სისხარულთა, რომ 200 სპორტსმენმა წარმატებით ჩააბარა მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივები.  
აქუსტიკის ინსტიტუტის ფილიალის ფიზკულტურის კოლექტივის სპორტსმენებმა I ადგილი დაიკავეს მძლეოსნობაში, ფრენბურთში, შაშში, ცურვაში და სპორტკლასის ჩემპიონები გახდნენ. II ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები, III — სამკურავლო ფაბრიკის კოლექტივი.  
თავიანთ შესაძლებლობაზე ცუდად იასპარეზეს ს. ორჯონიკიძის

სახელობის სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის სპორტსმენებმა. გასული სპორტკლასის პრიზორს — ქარხანა „სოხუმფეხსაცმელი“ კოლექტივს შეჯიბრებაში სულ არ მიუღია მონაწილეობა.  
პირად შეჯიბრებაში მოჭადრაკე ვაჟთა შორის უძლიერესი იყო № 6 სამშენებლო ტრესტის წარმომადგენელი გ. ბეალავა. ქალთა შორის გაიმარჯვა ამავე კოლექტივის სპორტსმენმა თ. საციკაიამ. მონაწილეთა პირად პირველობაში ყველას აქობეს აქუსტიკის ინსტიტუტის ფილიალის ფიზკულტურელებმა. ი. ლეპინმა და ს. შორთოვამ. მაგილის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში იმარჯვეს № 6 სამშენებლო ტრესტის წარმომადგენლებმა ლ. მეტეამ და ნ. გარკიამ.

სურათზე: ქალები 800 მეტრზე რბენის დროს.  
გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

## მეზობელი. კავიბანი და დევიუბანი

სსრ კავშირის კალათბურთულ ქალთა ნაკრების ყოველი გამოსვლა ბულგარელი და უცხოელი უფროსების უპირატესობის ცენტრშია. ისინი საათობით ესაუბრებიან სპორტსმენებს, ნაკრები გუნდის მწვრთნელებს. იგებენ მათს აზრს კალათბურთის საკითხო-როტო პრობლემებზე, ჩემპიონატის საპოლოო შედეგებზე.  
ვახუტ „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა საბჭოთა გუნდის მწვრთნელს ლ. ალექსეევს და რამდენიმე მოთამაშეს პოლონეთის გუნდთან პირველი გამარჯვების შემდეგ.

როგორ კალათბურთში? — ასეთი შეკითხვა მისცა კორესპონდენტმა სსრ კავშირის ნაკრების კავიბანს ნ. ზახაროვას.  
— ახალ ვარსკვლავებზე ლაპარაკი ნადრევი, მით უმეტეს, რომ ვარნის ჯგუფის გუნდების სიძლიერე ჯერჯერობით წარმოდგენდა არა გვაქვს. ისე კი უნდა გითხრათ, რომ პირველივე ტურის შემდეგ შევნიშნე რამდენიმე ნიჭიერი ასალგაზრდა იტალიისა და რუმინეთის გუნდებში. ჩვენი გეგმას კარგი მომავლის მქონე დებიუტანტი თ. სუხარნოვა. იგი ჯერ 17 წლისაც არაა, მაგრამ მისი ფიზიკური მონაცემები (სიმაღლე — 192 სმ) უსულგემას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ექსტრა-

კლასის ცენტრალური თავდასხმელი დადგება.  
როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე ვეროპის ჩემპიონატი? — კითხვა უფროსსმა თ. სუხარნოვამ, რომელიც აქვე მახლობლად იდგა და გულსხუროთ უხმენდა უფროსი მეგობრების პასუხებს.  
— ჩემპიონატი ჩემთვის კარგი სკოლაა. ვედილობ რაც შეიძლება მეტი ვნახო და ვისწავლო. მე ძალიან მომწონს ატმოსფერო, რომელიც სპორტულ მეტრეკეთა შორის სუფევს. ჩვენ ყველანი ერთიანი მიზნით, ერთიანი სულიერებით ვცხოვრობთ გულუხვი და ყურადღებანი ბულგარელების მიწაზე.

რით განსხვავდება ეს ჩემპიონატი წინა პირველობებისგან? ამ შეკითხვით მიმართა კორესპონდენტმა ნაკრების უფროს მწვრთნელს.  
— წლებადღე ჩემპიონატის მთავარი ღირსება ისაა, რომ კალათბურთი პირველად წარმოგვიდგა, როგორც ოლიმპიური დისციპლინა. ჩვენ, კალები, წლების მანძილზე ვიბრძოდით ამ უფლებებისთვის, ვინაიდან მივგანძობდით კალათბურთს სახეებით დაინსახურა ეს მაღალი ნიღბი. ასლა გუნდების წინაშე ახალი ამოცანები, ახალი პრობლემები დადგა. მე, მაგალითად, ღრმად ვარ დაწვრილებული, რომ ოლიმპიური ასპარეზობისთვის ყველა ქვეყანა განსაკუთრებულად ენერგიით მოემზადება.

ვინ მიაგანიათ მთავარ კონკურენტებად მიმდინარე ტურნირში?  
— პირველ ყოვლისა, ბულგარელები, ვინაიდან ისინი შინ თამაშობენ. მაგრამ საქმე მართლ საკუთარი კედლების უპირატესობაში რთლია. კალათბურთის ბულგარეთში უმდიდრესი ტრადიციები აქვს. ამ ქვეყანას მუდამ პყავდა მაღალტექნიკური კალათბურთელები. ბულგარელები დღესაც გამოირჩევიან აზრიანი და ძლიერი თამაშით. ანგარიში უნდა გაეწიოს ჩეხოსლოვაკიის გუნდსაც. რაც შეეხება ჩვენს ჯგუფს, აქ ორი ღირსეული მეტოქის დასახლება შეიძლება. ერთია იუგოსლავიის ნაკრები, მეორე კი უნგრეთის გუნდი. ვფიქრობ საბრძოლო ადგილებს სთვით ჩვენთან ერთად სწორედ ეს სამი კოლექტივი იბრძოდეს.

თქვენ ალბათ მონრეალისთვისაც გამარჯვებას გეგმავთ. ხართ თუ არა დარწმუნებული წარმატებაში?  
— რა თქმა უნდა, ვართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი იქნებოდა საკალათბურთო ოლიმპიკენ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. მაგრამ ისიც კარგად გვაქვს შეგნებული, რომ მონრეალში ძლიერ გუნდებს გამოიყვანენ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, პირველ ყოვლისა კი აშშ და ბრაზილია.  
● თუ შეიძლება რომელიმე ახალი „ვარსკვლავის“ გამოყოფა გე-


სსრკპმ, 12 ოქტომბერი. იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში ბოლო ტურის წინ საბჭოთა კავშირის გუნდი ნახევარი ქულით უსწრებს უნგრეთის კოლექტივს. არგენტინელებთან შეხვედრაში საბჭოთა დიდოსტატებმა ოთხივე შესვენება, ყაიმით დაამთავრეს: პეტროსიანმა — გარსიასთან, კორჩნოვი — რუმინეტისთან, სმისლოვამ —

# საბჭოთა გუნდი კვლავ ჩაეპიონია

დებარნოტან, კარპოვმა — მიხუსთან. მე-14 ტურის დანარჩენი შესვენებები ასე დამთავრდა: უნგრეთი — პოლანდია 2,5:1,5, რუმინეთი — გერ 1,5:0,5 (2 პარტია გადადებულია), ბულგარეთი — ესპანეთი 2:2, იუგოსლავია — პოლონეთი 3:1, შვეიცია — დანია 1,5:1,5 (1), ჩეხოსლოვაკია — შვეიცარია 3:1, აშშ — გერ 2:1 (1).  
სსრკპმ, 13 ოქტომბერი. სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდმა კვლავ მოიპოვა მსოფლიო ოლიმპიადა-

ში გამარჯვებულის სახელი. ეს ენობლი გასდა დღეს გადადებული პარტიების გათამაშების შემდეგ. ოლიმპიადის ფინიშთან პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. ბოლო ტურის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს დაუგროვდა 41,5 ქულა და დაუმთავრებელი დარჩა ერთი პარტია რუმინეთთან მატჩში. უნგრელები 40,5 ქულით მეორე ადგილზე იყვნენ, მაგრამ მათ დასამთავრებელი ჰქონდათ

2 შესვენება. დიდოსტატი ტალი ყაიმზე შეუთანხმდა ეციესკუს და ჩვენმა ნაკრებმა 42 ქულა დააგროვა.  
უნგრელი ჩომა დამარცხდა დობალთან (გურ) შესვენებაში და სსრ კავშირის გუნდი უკვე მოუწვდომელი აღმოჩნდა. სსრ კავშირის გუნდში გამოდიოდნენ ტ. პეტროსიანი, გ. სმისლოვი, მ. ტალი, ვ. კორჩნოვი, ა. კარპოვი და გ. საგონი. ამ გამარჯვების შემდეგ საბჭოთა გუნდი მსოფლიო ოლიმპიადის 11-გზის ჩემპიონია.



ტ. პეტროსიანი, მ. სმისლოვი, მ. ტალი, ვ. კორჩნოვი, ა. კასპოვი, ა. სარგანი

# გზაილდოსანი ჩაპკონები

გერობის ჩემპიონი, XX ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ქუთაისელი ქ. ლოსანბერიძე სარბიულზე არ გამოსულა. I ადგილისთვის ბრძოლა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს ლ. ასატუროვას (თბილისის „ბურვესტნიკი“) და გ. რიჟაძეს (ქუთაისის „ბურვესტნიკი“) შორის გაჩაღდა.

შეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ წინ იყო ქუთაისელი სპორტსმენი, რომელიც მეტოქეს 9 ქულით უსწრებდა. მაგრამ მან, როგორც ჩანს, დაიბუღებინა ტურნირის ბოლომდე ვერ გაუძლო და საბოლოოდ გამარჯვება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონს ლ. ასატუროვას დარჩა — 2305 ქულა. ასატუროვა საუკეთესო იყო 70 (548) და 30 მეტრზე (641), მეორე — 50 მეტრზე (563), მესამე — 60-მეტრიან დისტანციაზე.

საქართველოს ახალ ჩემპიონს გ. რიჟაძემ მხოლოდ 16 ქულით ჩამორჩა. მან ერთი I (50 მეტრზე — 577) და სამი II ადგილი (70 მ — 532, 60 მ — 565, 30 მ — 615) მოიპოვა. სპორტის ოსტატმა დ. ლოსანბერიძემ, ჩვენი სახელგანთქმული ჩემპიონის უმცროსმა დამ, ერთი I (60 მ — 569 ქულა) და ორი III ადგილი მოიპოვა (70 მ — 497, 4 დისტანციის ჯამში — 2098). 50-მეტრიან დისტანციაზე III ადგილი დაიკავა თბილისის მე-9 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ც. სუმბაძემ — 509 ქულა.

გაერთა შეჯიბრების პირველივე დღე ახალი რესპუბლიკური მიღწევებით აღინიშნა. 90 მეტრზე 36 ისრის სროლაში („მ-1“ ვარჯიში) თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა გ. არჩაძემ („ბურვესტნიკი“) საქართველოს რეკორდი დაამყარა — 251 ქულა.

ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ დ. ბაქრაძემ რეკორდი დაამყარა ამავე დისტანციაზე ტაბულა შორის — 218 ქულა. საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი და პირველი ადგილები ოთხივე დისტანციაზე გ. არჩაძეს სცადა. ჯამში — 2230 ქულა და დისტანციებზე: 90 მ — 469, 70 მ — 552, 50 მ — 554, 30 მ — 655 ქულა. მეორე იყო ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გ. სოსაძე („ბურვესტნიკი“) — ჯამი 2152 ქულა.

იგი მესამე ადგილზეა 90, 70 და 50 მეტრზე (436, 535 და 540 ქულა შესაბამისად), II ადგილი სცადა 30 მეტრზე — 641 ქულა.

„მ-2“ ვარჯიშში მესამე პრიზორია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. პატატივილი (თბილისის „ბურვესტნიკი“) — 2109 ქულა. მას II ადგილი სცადა 90 (436) და 50 მეტრზე — 550 ქულა.

70-მეტრიან დისტანციაზე II ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ვ. ტროპინმა (თბილისის „ლოკომოტივი“) — 537 ქულა. 30 მეტრზე III ადგილზეა თ. ტორტაძე — 622 ქულა (ბათუმის „კოლმეურნი“).

ჩემპიონატის პარალელურად ჩატარდა შეჯიბრება რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა სპარტაკიადის პროგრამით.

პირველობა როგორც ვაჟთა ისე ქალებს შორის „ბურვესტნიკის“ სპორტსმენებს სცადა. II ადგილზე არიან „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები. ვაჟებში III გუნდური ადგილი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნი“ დაიკავა, ქალებში კი „სპარტაკი“.

ისევე როგორც ჩემპიონატში, ყველა I ადგილი დაიკავა გ. არჩაძემ. მეორე იყო ნ. პატატივილი. მანვე II ადგილები დაიკავა 90, 70 და 50 მეტრზე — 436, 513 და 550 ქულა შესაბამისად. ოთხი დისტანციის ჯამში III ადგილზეა ფ. გაბრეჯა (ბათუმის „კოლმეურნი“). ასევე მესამე იყო იგი 70 და 50 მეტრზე — 496 და 513 ქულა.

30-მეტრიან დისტანციაზე III ადგილზეა სპორტის ოსტატი ბ. ქორიძე (ქუთაისის „ბურვესტნიკი“) — 612 ქულა.

ქალთა შორის გაიმარჯვა დ. ლოსანბერიძემ, რომელმაც სამი სამრიზო ადგილი დაიკავა. მისი შედეგები ასეთია: 2098 ქულა „მ-2“ ვარჯიშში, 70 მეტრზე — 497 ქულა, 60 მ — 589. იგი მეორე იყო 30-მეტრიან დისტანციაზე — 589 ქულა.

„მ-2“ ვარჯიშში II სამრიზო ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ც. სუმბაძემ — 2089 ქულა. იგი პირველი იყო 50 მეტრზე — 509 ქულა, და მეორე 60-მეტრიან დისტანციაზე — 534 ქულა.

ბათუმის წარმომადგენელმა თ. დოლიძემ („სპარტაკი“) III ადგილი დაიკავა სპარტაკიადის შეჯიბრებაში. მისი შედეგია 2000 ქულა. დოლიძეს მეორე მაჩვენებელი ჰქონდა 50 მეტრზე — 470 ქულა და მესამე 70-მეტრიან დისტანციაზე — 477.

ამჟამად საქართველოს ნაკრებ გუნდს უფროსი მწვრთნელის შ. ჯამიაშვილის ხელმძღვანელობით თბილისში სასწავლო-საწვრთნელი შეერბა აქვს. 20 ოქტომბრის გუნდი ღუმანბეში გაფრინდეს, სადაც სსრ კავშირის თასისთვის უნდა იბრძოლოს.

ბ. ბაბრაძე, საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

სურათზე: ლ. ასატუროვა ცეცხლის ხაზზე. ი. გელაშვილის ფოტო.



სექტემბრის ბოლოს ბათუმის მასობრივად, სოფელ ანგისში (ხელვაჩაურის რაიონი) „კოლმეურნის“ სტადიონზე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. პროგრამაში „მ-2“ ვარჯიში იყო.

ამინდი ხელს არ უწყობდა სპორტსმენებს. მან კოკისპირულად წვიმდა, ხან ძლიერი ქარი ქრდა, მხოლოდ მშვილდოსნობა ოსტატობამ განაპირობა მაღალი მაჩვენებლები (41 მონაწილეში 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 17 სპორტის ოსტატი იყო).

მაღალ შედეგებს იმანაც შეუწყო ხელი, რომ „კოლმეურნის“ რაიონატის მუშაკთა კოლექტივმა (თავმჯდომარე ე. ჭყონია) შესანიშნავად მოამზადა მოედანი და ინვენტარი ასპარეზობისთვის.

შეჯიბრებაში ჩაებნენ „დინამოს“, „კოლმეურნის“, „განთიადის“, „სპარტაკის“, „ბურვესტნიკის“ და „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები.



რამბანი... შ. თათარიშვილის ფოტო.

„მიუნხენის ოლიმპიური თამაშების წინ ოქტომბრის ვაჟებმა დაბეჭდა ვრცელი მასალა საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ წარმატებებზე, რომელშიც რატომღაც არ იყო მოხსენიებული 1962 წლის მედლისთვის ოლიმპიადის ჩემპიონის ა. მეკოიშვილის გვარი. რა მოხდა? ვაჟებს გამოჩნდა ამ შესანიშნავი მოქიდავის გვარი, თუ სხვა რაიმე მიზეზით არ იყო შეტანილი იგი სიაში?“ ასეთი შეკითხვები რედაქციას უწინადაც მიუღია. მაშინ ავტორებს პირადად გაეგზავნათ პასუხები. დღეს კი ვაჟების საშუალებით ვიძლევით პასუხს ამ და მსგავსი ხასიათის სხვა შეკითხვებზე.

გამორჩენილი ქართველი მოქიდავის არსენ მეკოიშვილის წარმატებები საჭკვევოდ არის ცნობილი. იგი იყო სსრ კავშირის მრავალჯერ ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და სამოთხეში, წარუღილი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და ჰელსინკის ოლიმპიადის ტრენინგატორი. ამის უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება და ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს შესანიშნავი თანამემამულის ბრწყინვალე გამარჯვებებით.

მაგრამ, როცა ლაპარაკია საქართველოს (და არა ქართველი) სპორტსმენების ოლიმპიურ წარმატებებზე, მეკოიშვილის გვარს არ ახსენებენ, ვინაიდან იგი ამ დროს საქართველოში არ ცხოვრობდა და მოსკოვის სპორტული ორგანიზაციების სახელს იცავდა. თუ გახსოვთ სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის უკვე ხანდაზმულმა მეკოიშვილმა ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა მძიმე წონაში. მაშინაც ჩვენი თანამემამულე მოსკოვის გუნდის ღირსებან იცავდა და ეს გამარჯვებაც სწორედ ამ ქალაქის დელეგაციას ჩაეთვალა.

სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას სსრ კავშირის წყალბურთულთა ნაკრების ყოფილი კაპიტნის პ. მშვენიერაძის შესახებ. როგორც ცნობილია, მეტბურნის ოლიმპიადის მან ბრინჯაოს მედალი დაიხაკურთა, მაგრამ, ვინაიდან იმხანად მოსკოვში ცხოვრობდა, ეს მედალი საქართველოს ოლიმპიულთა ჯილდოების სათვალავში არ შევიდა.

## რთ დ მ დ ი ს?

წინასწარ ვიციდი, რომ ბათუმში ხეირიანი სპორტული დარბაზი არ ჰქონდათ. ისიც ვიციდი, რომ ახალი ნაზის მშენებლობა სურამის ციხესავეთ ჰქონდა და, მაგრამ ის, რაც საკუთარი თვალთა ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა.

ერთადერთი ცოტად თუ ბევრად ვარჯისი დარბაზი (ყოფილი ვკლუსია), სადაც ამჟამად განათლების განყოფილების სპორტული სკოლაა მოთავსებული, რამდენიმე ათეული წელია პირნათლად ემსახურება აჭარის სპორტსმენებს, მაგრამ ვაშთა სიაგეს, ახალი დარბაზის მოლოდინს უკიდურეს მდგომარეობამდე მიუყვანია. სინესტისაგან სანახევროდ სველი კედლები, ალავ-ალავ დაბზარული ხის იატაკი, ყოვლად მოუწყვსივებელი საშხაპე, სადაც შესვლაზე კი სასიფათოა (შეიძლება ჭერი ჩამოინგრეს), უგნტოლაკიო დარბაზი მართლაც საყოფადი სანახევრო.

ბათუმელი სპორტსმენები ასეთ პირობებში ვარჯიშობენ. მათ შორის გახლავთ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ტანმოვარჯიშე რ. სისხარულიძე, რომელიც ჩემი იქ ყოფნის დროს თა-

## საორბული სოსუმი

**ჩაგაიონობა**  
**შინარჩუნება**

აფხაზეთის დედაქალაქის დოსაფის საცურაო აუზში ჩატარდა შეჯიბრება ცურვაში „ნეპტუნის“ პრიზზე. ასპარეზობაში ქალაქის სახლმმართველობის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ყოველი გუნდის შემადგენლობაში 30 სპორტსმენი გამოდიოდა. პირველობისთვის 11-16 წლის გოგონები და ქალები იბრძოდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი მეორედ გახდა № 1 სახლმმართველობის კოლექტივი. II ადგილი დაიკავა № 2 სახლმმართველობის ნაკრებმა, III — № 5 სახლმმართველობამ.

## გაგრეულ მისურავთა წარმატება

სოხუმის დოსაფის საცურაო აუზში ჩატარდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი აფხაზეთის პირველობა (ცურვაში, რომელშიც სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ).


საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება მოიპოვა აფხაზეთის „განთიადის“ ნაკრებმა, რომელიც ძირითადად გაგრეული და ბიჭვინთელი მოცურავეებისგან იყო დაკომპლექტებული. მათ 273 ქულა მოაგროვეს. II ადგილზეა „დინამოს“ სპორტსმენები — 243,5. III — აფხაზეთის განათლების სამინისტროს მოსწავლეები — 164,5 ქულა.

ი. გოგიაშვილი.  
(ჩვენი კორ.).  
სოხუმი.

## ისევ უმკლეს ლიგაში

ლვოში, 18 ოქტომბერი. აქ დამთავრდა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის წყალბურთულთა გუნდების ტურნირი. წარმატებით იასა პარეზეს ლვოველმა დინამოელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში სძლიეს ხარკოველ თანაკლებელს — 7:4.

ლვოველები მომავალი წლიდან ითამაშებენ წყალბურთულთა უმაღლესი ლიგის კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატში.



ვისუფალ ვარჯიშს შიშველ იატაკზე ასრულებდა (1). ყოველივე ამას კიდევ გაევრდებდით (სპორტსმენები ამტანი ხალხი), ვინთვისის რომ არ გვეშინოდესო (1?), მისთვის გოგონებმა.

ზომსზე მეტად ჩასუქებული ვირთხები ხშირად ეპატრონებიან სპორტულ დარბაზს, თან ისეთ მალაყებს აკეთებენ, გამომდილ აკრობატებსაც შეშურდებათ.

აჭარას ბევრი სახელოვანი სპორტსმენი აღუზრდია, მაგრამ დღეს რომელ დიდ სპორტზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ბათუმელ სპორტსმენებს ერთი ხეირიანი დარბაზიც არა აქვთ?

სპორტის მწვერუთა მრავალჯერის ოსონა დიდი ხანია რჩება „სმად მღაღაღებლისად“...

ნუთუ არავის ალღევებს აჭარის სპორტსმენთა გაჭირვება?

ბ. შირმელაშვილი, დოცენტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.



# აქტიური ოქროს წინა

## 9. რა ყოფილა ეს სპორტსკი!

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოქროს ასობით ჩაიწერა იმ სპორტსმენთა გვარები, ვინც მრავალჯერ მოიხვეჭა ჩემპიონობა ერთ ოლიმპიადაში. რადგან ამ წერილში მოცურავეებზე ვაძვრებით, სჯობს მართლ სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებზე ვილაპარაკოთ, გავიხსენოთ ის ტრიუმფატორები, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი. ერთ-ერთი მათგანი იყო ამერიკელი ჯონი ვაისმიულერი, 1924 წლის პარიზის თამაშების გამარჯვებული. ამ სპორტსმენის ოლიმპიურ მიღწევებზე მანამ ვაძვრებით, სანამ ტოკიოს თამაშებში დონ შოლანდერი (აშშ) ოლიმპიური თამაშების ოთხჯერ ჩემპიონი გახდებოდა, მან შემდეგ მეგრმა სპორტსმენმა სცადა შოლანდერის რეკორდის გაუმჯობესება ან გამორეცხა. მაგრამ ვერაფერს შეძლო, თუმცა მეხუთესს თამაშებში ორჯერ ჩემპიონობა მოიხვეჭეს ამერიკელმა მ. ბარტონმა და ჩ. ჰოკსმა, ავსტრალიელმა მ. უვიდენმა და გერმანის წარმომადგენელმა რ. მათესმა.

ვინ უნდა ყოფილიყო მიუხედავად ოლიმპიადის გამარჯვებული, ვის შეეძლო მრავალჯერ ჩემპიონობა და მხოლოდ XX ოლიმპიადაში გამოიჩინა მქობის მქობნი, ამერიკელი მარკ სპიტცი. ეს სპორტსმენი სპორტული სამყაროსთვის უცნობი როლი იყო. ჯერ კიდევ მეხუთესს თამაშებში 18 წლის ჰაბუკმა პირველად მიიქცია ყურადღება, როცა 100 მეტრზე თავისუფალი, ხოლო 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურავს სპორტული ადგილები მოიხვეჭა, ხოლო თანაგუნდელებთან ერთად ჩემპიონი გახდა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში.

მეხუთესს სპორტული ბატალიონის შემდეგ გავიდა 4 წელი. ამ წინის განმავლობაში სპიტცი ისე დაოსტატებულა, რომ შთელი სპორტული სამყარო განაცვიფრა. საკვირველი ის იყო, რომ იგი ყველა სახეობაში ფინიშთან პირველი მიდიოდა და ახალ მსოფლიო რეკორდსაც ამყარებდა. სპიტცი შეიძლება ავიდა საპატო კვარცხლბეის ყველაზე მაღალ საფეხურზე.

მოცურავეთა ასპარეზობის ბოლო დღეს სპიტცის წყალობით ამერიკელებმა ოქროს მედალი მიიღეს 4X100 მ კომბინირებულ ესტაფეტაში. მართალია, მათ წააგეს პირველი ეტაპი, როცა მათგან (გარე) გაუსწრო მ. სტამს, მეორე ეტაპზე ტ. ბრუსმა (აშშ) ოდნავ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ სპიტცმა ისე სწრაფად გაიქროლა წყლის ბილიკზე, თვალა ძლივს შეეგვლეთ. გარე-ის გუნდის დანარჩენ წევრებს უკვე აღარ შესწევდათ ძალა, რომ დაწინაურებულ ამერიკელებს გამოედევნებოდნენ. როცა აშშ-ს გუნდმა კვარცხლბეის ყველაზე მაღალ საფეხურზე დადგა ფეხი, ტრიუმფზე შეკრებილნი მსურველად მიესალმნენ გამარჯვებულებს, თანაგუნდელებმა ხელში აიტაცეს სპიტცი და საპატო სტუმართა ლოუსთან ძირს ჩამოსვეს. იქ იგი გულში ჩაიკრა ერთმა ხანდაზმულმა კაცმა. ეს იყო ჯონი ვაისმიულერი, პარიზის ოლიმპიადის გამარჯვებული.

ბრესა ბევრს წერდა სპიტცის წარმატებებზე. გავითის ფურცლებიდან გამომდინარე ვიღიშობთ მიუხედავად თამაშების შედეგის ჩემპიონი. ასე, რომ სპიტცმა დაიპყრო ოლიმპიადის დედაქალაქი. ერთ მშვენიერ დღეს იგი გაქრა შიშინიდან, ერთ-ერთი გაზეთში დაიბეჭდა ფოტოსურათი: სპიტცი პოლიციელი მოტოციკლისტების თანხლებით ბონში მიემგზავრებოდა. იქიდან ამერიკული „ბონგი“ მას ნიუ-იორკში ჩაიყვანდა. რა იყო სპიტცის ასეთი მოულოდნელი გამგზავრების მიზეზი?

ს სპიტცებებს დილით უხიამოვნო ამბავი მოხდა. ექსტრემისტული ორგანიზაციის — „შავი სექტემბრის“ ტერორისტები ოლიმპიურ სოფელში თავს დაესხნენ ისრაელის დელეგაციას და ერთ-ერთი გასროლის დროს დაიღუპა ამ ქვეყნის მოქიდავეთა გუნდის მწვრთნელი. შეშფოთდა ოლიმპიადის დედაქალაქი, გადაიქცა ოლიმპიური სოფლისკენ მიმავალი ყველა გზა. ქალაქის თავზე შევეულ-მფრენების ესკადრილია ტრიალებდა. ოლიმპიელთა სამყოფელს პოლიციელთა მრავალიცხოვანი რაზმი „შეისა“. დაიწყო „ნადირობა“ ტერორისტებზე, მაგრამ მათს

„ხანაჟი“ შეღწევა ვერა და ვერ მოხერხდა. ტელევიზორზე კარგად ჩანდა, როგორ სდარჯობდნენ მძევლებს ნიღბოსანი ტერორისტები. ყოველ 10 წუთში ერთხელ ვისმენდით ცნობებს მომხდარი ინციდენტის შესახებ.

მიუხედავად ოლიმპიურ თამაშების გამოუშუქდა ყველა სარბიელი გამოიქცა და ჩვენ პრეს-ცენტრში შეკრებილნი ვუსმენდით ყოველ ნახევარ საათში გამართულ პრეს-კონფერენციებს. ხმა დაიჩინა, რომ ტერორისტებს გარდა ბავარიის დედაქალაქში განგებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებზეც ჩამოვიდნენ და გალაქვეტილი აქვთ თამაშებში გამარჯვებულ სპორტსმენთა მოტაცება. სწრაფად მიიღეს საგანგებო ზომები. რა უცნაური სანახავი იყვნენ ოლიმპიადის გამარჯვებული, რომლებიც შეიარაღებული პოლიციელების თანხლებით ან სარბიელზე მოდიოდნენ, ან ოლიმპიურ სოფელში დასკირნობდნენ. ამიტომ იყო, თავს რომ უშველა სპიტცმა.

ახლა კვლავ ცურვას დაგუბრუნდეთ. თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ასპარეზობაში ამერიკელმა რ. დემონტმა რაღაც მესხედი წამით აჭობა ავსტრალიელ ბ. კუბერს. საწყები მარცხი იყო და ფინიშის შემდეგ კუბერი თვალცრემლიანი გავიდა სარბიელიდან. მანამდე ამერიკელმა მოცურავემ 1500 მეტრზე შეჯიბრებაც მოიგო და ორჯერ ჩემპიონი გახდა. ფინიშის შემდეგ გამარჯვებული კვარცხლბეიდან სადაც წაიყვანეს, რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო, კუბერმა სპორტული კოსტიუმი გადაიცვა და მონაწილეთათვის განკუთვნილ ადგილზე მოთავსდა. აუზში კი ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა დისტანციებზე მოასპარეზებნი. დიქტორმა რაღაც გამოაცხადა, მაყურებელთა ღრიალიც უნდა კარგად არაფერი ისმოდა. ის კი დავიწყებ, როგორ დაიწყო სინარჯისგან ადგილზე ხტომა კუბერმა. შემდეგ ყველაფერი გაიკრვა: დემონტს სტარტის წინ დობინგი მიუღია, რაც საეჭირო ექსპერტიზასაც დაუშტკიცებია. ეს რომ ხაჯაროდ გამოცხადდა, ავსტრალიელმა მოთხოვა მისი ვერცხლის მედალი ოქროზე „დაეცე-

ვალთ“. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სპეციალურმა სხდომაზე განიხილა დემონტის საკითხი და მას ორივე დისტანციებზე ჩემპიონობა ჩამოერთვა, მაგრამ კუბერს უარი უთხრეს მედალის გამოცვლაზე, რამ აიძულა 16 წლის დემონტი დობინგი მიეღო? აშშ-ს გუნდის ხელმძღვანელობამ ასე ახსნა ეს ფაქტი: დემონტი ასობითა დაავადებული და კარგ სპორტულ ფორმაში რომ იყო, მაღალ მანქანებზე მიაღწიოს, სარბიელზე გამოსვლის წინ იღებს აბს, რომელიც აფერდინსაც შეიცავს. ვერაფერი თავის გამართლებათა. როგორც ცნობილია, აფერდინი ღობინგის საშუალებათა სიაშია და ამერიკელი მოცურავე სამართლიანადაც მოხსნეს შეჯიბრებიდან.

ქალთა შორის გულაღმა ცურვაში (100, 200 მ) საბჭოთა სპორტის სახელმწიფო აფერდინსაც შეიცავს. ვერაფერი თავის გამართლებათა. როგორც ცნობილია, აფერდინი ღობინგის საშუალებათა სიაშია და ამერიკელი მოცურავე სამართლიანადაც მოხსნეს შეჯიბრებიდან.

ში, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არისო ასე მოხდა. მეტოქეები ლევეიშვილზე გაცილებით ძლიერი იყვნენ. ქართველმა მოცურავემ ერთ-ერთი წინაწარ შეჯიბრებაში საკავშირო რეკორდსაც დაამყარა ესტაფეტის ეტაპზე. ფინალში საბჭოთა გუნდმა, სადაც თინათინც გამოდიოდა, საკავშირო მიღწევა გაიმეორა, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა. საბჭოთა გუნდი ფინიშთან მხოლოდ მეოთხე იყო.

მოცურავეთა ამდენი მსოფლიო რეკორდი, ევროპულ და ეროვნულ რეკორდებზე, რომ არაფერი ვთქვათ, არც ერთ ოლიმპიურ თამაშებში არ დამყარებულა. მიუხედავად ამისა ბილიკები ფანტასტიკურად სწრაფი და უჩვეულოდ იღბლიანი გამოდგა.

გ. ჯაფარიძემ,  
(ჩვენი სპეც. კორ.)

ს უ რ ა თ ე: თ. ლევეიშვილი (პარაჩენი) და მისი მწვრთნელი მ. ტატიშვილი ოლიმპიურ სოფელში.

მ. ზარგარიანის ფოტო.  
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტი).



**სპორტული ცენტრი**  
**დაუმარცხებლად**

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მემორიალური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ახალგაზრდა კალათბურთელთა ტურნირის პირველი წრე. ასპარეზობაში წარმატებით იბრძვიან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც ჯერჯერობით ყველა შეხვედრა მოიგეს.

სტარტზე საქართველოს კალათბურთელთა მეტოქე აზერბაიჯანელი იუნორები იყვნენ. გოგონებმა გაიმარჯვეს ანგარიშით — 74:54 (35:23), ჰაბუკებმა — 87:63 (43:29). გამარჯვებულია შორის

სნაიპერული სროლებით თავი გამოიჩინეს: კორბოვამ — 24 და ჯანაშიამ — 25 ქულა.

მეორე წრეში ასპარეზობდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები. აზერბაიჯანელები ამჯერადაც დამარცხდნენ: გოგონები — 58:59 (25:39), ჰაბუკები — 68:75 (33:30).

პირველი წრის III ტური საქართველოსა და სომხეთის კალათბურთელთა შორის დამთავრდა: უპირატესობა აქვს მსპინძლების მხარეს იყო — გოგონებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 69:52 (27:24), ჰაბუკებმა — 80:40 (38:19).

ტურნირი გრძელდება.

## რ მ მ კ ი ტ ნ ა ტ ი ბ ა მ ხ ს ნ ა

ამიერკავკასიის წითელროსოვანი სამხედრო ოლქის თბილისის ოფიცერთა სახლში სტარტი აიღო სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების VIII ჩემპიონატმა კვარაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

ტურნირის სახეიშო გახსნაზე მონაწილეებს გულთბილად მიესალმა ამიერკავკასიის წითელროსოვანი სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ი. იურბოლსკი. საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობისა და ჰალარაიის ფედერაციის სახელით მონაწილეებს ჩემპიონატის დაწყება მიულოცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. სანაძემ. მეგობრული არმიების სპორტკომიტეტის სახელით გამოვიდა შეიარაღებული ძალების ცენტრალური საქარაყო კლუბის უფროსი, პოლბოლკოვნიკი ლ. სემერნიკოვი.

ტურნირის მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. მაგერგულტამ (მოსკოვი) შეკრებილთ შეჯიბრების რეგლამენტი გააცნო და კენისის შედეგები გამოაცხადა. ტურნირში 14 მოჭადრაკე მონაწილეობს. ისინი ცხრილში შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ: 1. ოსტატი ი. ადამსკი (პოლონეთი), 2. ოსტატი ლ. ვადასი (უნგრეთი), 3. ოსტატი ე. უბილაჟა (სსრ კავშირი, თბილისი), 4. ოსტატი რ. პოსტლერი (გერმ.), 5. ოსტატი ე. ნოვაკი (ჩეხოსლოვაკია), 6. ოსტატობის კანდიდატი ე. პრანდ-შტიტერი (ჩეხოსლოვაკია), 7. საერთაშორისო ოსტატი ლ. ცინი (გერმ.), 8. ოსტატი ი. კლოვანი (სსრ კავშირი, რიგა), 9. დიდოსტატი ვ. ლიბერსონი (სსრ კავშირი, მოსკოვი), 10. ოსტატი ვ. ურაჟ-ლიოვი (სსრ კავშირი, რიგა), 11. ოსტატობის კანდიდატი ა. ლოკანო (პოლონეთი); 12. ოსტატი ი. იფვატი (უნგრეთი); 13. საერთაშორისო ოსტატი მ. პოლავცი (სსრ კავშირი, ოდესა); 14. ოსტატი ე. იზოვჩიკოვი (სსრ კავშირი, თბილისი).

პირველ ტურს პირველი სენსაცია მოჰყვა. ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა პრანდშტიტერმა დაამარცხა დიდოსტატი ლიბერსონი. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წლევიანდელმა ჩემპიონმა გურავლიოვმა მოუგო ნოვაკს. რო-

მელმაც სელების მოფიქრებისა და დროს გადააცილა.

ყამით დამთავრდა ადამსკი-იზოვჩიკოვისა და ცინ-კლოვანის პარტიები. ასეთივე შედეგი ოინიშნა ვადასი-პოლავციის შეხვედრაში, ორი პარტია ვადასი. პოსტლერი-ლოკანოს პარტიაში დაიხვე დაახლოებით თანაბარი ვნდშილია, უბილაჟას ჯერჯერობით ზედმეტ დევიტა აქვს ოქვატის წინააღმდეგ, მაგრამ უნგრელ ოსტატს შეუძლია იგი ფორსირებულად მოთგოს და ზედმეტი პაიკით დაარჩეს.

ა. ზუსლანში,  
სპორტის ოსტატი.

**სომეხნი  
სპორტიონი**

← **გათუში**

აქ დამთავრდა „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს გუნდური პირველობა მადიდის ჩობურთში. ყველას აჭობა ბათუმის მექანიკური ქარხნის ნატრებმა.

მ. ზურავნიძე.

